



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

აუდიტორული მომსახურების (CPV-79212000)

სახელმწიფო შესყიდვა

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 2017 წ

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.....	3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია.....	4
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	5-8
4. დამატებითი ინფორმაცია.....	9
5. დანართი N1 ტექნიკური დავალება	10
6. დანართი N2 რეკვიზიტები.....	11
7. დანართი N3 ფასების ცხრილი.....	12

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

- 1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.
- 1.2 გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
- 1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
- 1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).
- 1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
- 1.6 პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.
- 1.7 ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს: გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – არანაკლებ 120 კალენდარული დღით ტენდერისათვის სტატუსის „წინადადების მიღება დაწყებულია“ მინიჭების თარიღის შემდეგ, ელექტრონული გარანტიის საბანკო პლასტიკური ბარათიდან გადახდის შემთხვევაში - შესაბამისი ტენდერისათვის საბოლოო სტატუსის მინიჭებამდე.
- 1.8 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან მოითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, ან/და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით), რომელიც დაადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას შემსყიდველის მიერ მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 1.9 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

შესყიდვის ობიექტი: სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2016 წლის ფინანსური აღრიცხვა/ანგარიშგების შემოწმება (ბალანსის აუდიტი), ტექნიკური დავალების (დანართი #1) შესაბამისად.

2.1 შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 8000 (რვა ათასი) ლარი დღგ-ს გარეშე.

2.1.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

2.1.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

2.2 ანგარიშსწორების პირობები:

2.2.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაადლო ანგარიშსწორებით ლარში.

2.2.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

2.2.3 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.3 მიწოდების პირობები და ვადები:

2.3.1 მიწოდების ვადა: მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

2.3.2 მომსახურების დასრულებისას გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს დასკვნა (როგორც ელექტრონული, ასევე დედნის სახით), შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #150, სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს სათაო ოფისი, მე-10 სართული.

2.4 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

ა) ტექნიკური დავალება დანართი №1-ის მიხედვით;

ბ) რეკვიზიტები დანართი №2-ის მიხედვით;

გ) ფასების ცხრილი დანართი №3-ის მიხედვით;

დ) ინფორმაცია 2010 წლიდან მინიმუმ 3 (სამი) წლის განმავლობაში ფინანსური აუდიტორული მომსახურების გაწევის (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფინანსური აუდიტორული მომსახურების გაწევის) შესახებ, რომელიც დადასტურებულ უნდა იყოს გაფორმებული ხელშეკრულებებითა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით.

ე) აუდიტორული მომსახურება უნდა გაწიოს სერთიფიცირებულმა აუდიტორმა, რის დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მოქმედი სერთიფიკატ(ებ)ი.

სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყარო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2017 წლის საკუთარი სახსრები.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება

ქ.თბილისი

----- 2017 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი უფროსის ---- სახით, და მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი ----- სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონისა და პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგების გათვალისწინებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA-----) ----- (CPV -----) სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება, მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტი ---- (-----) ლარად დღგ-ს გარეშე.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ზუსტი აღწერა და რაოდენობა მოცემულია ტექნიკურ დავალებასა (დანართი #1) და ფასების ცხრილში (დანართი # 2), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ზოგადი დებულებანი:

3.1. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს:

- ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
- ბ) ტექნიკური დავალება;
- გ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და მასზე თანდართული ყველა სხვა საჭირო დოკუმენტი;
- დ) დაზუსტებული ან/და კორექტირებული სატენდერო წინადადება ან/და ფასების ცხრილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ე) ხელშეკრულების ყველა სხვა დანართი ან/და მასში შემდგომში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება.

3.2. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას.

3.3. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, ამ თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---- (-----) ლარს დღგ-ს გარეშე.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

4.3. მიმწოდებელი პასუხს აგებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლისა და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს კანონმდებლობით.

4.4. ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის გადასინჯვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ამასთანავე დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4.5. ფასების გადასინჯვის შესახებ ხელშეკრულების ინიციატორმა მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც, თავის მხრივ, უფლებამოსილია, არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1. საკუთარი სახსრებით გაუწიოს „შემსყიდველს“ სრული მომსახურება დანართი N1-ის შესაბამისად.

5.1.2. დროულად განიხილოს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები.

5.2.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია:

5.3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება და დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.4.1. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებსა და მოთხოვნილ პარამეტრებზე.

6.2. კონტროლის განხორციელების შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს *სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს* -----
----- *თანამშრომელი*.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან ---- (-----) კალენდარული დღის ვადაში.

7.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომლის საფუძველს წარმოადგენს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დასკვნა.

7.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს *სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს გარემოს* ----- *უფროსი*.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარებში, უნაღდო წესით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8.3. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყარო: *სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2017 წლის საკუთარი სახსრები*.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებელი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული მხარეების შეცდომასა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით;

9.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას

10.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდით შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაეკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 ხელშეკრულების 8.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობა

შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ:

11.1 მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურება ან მისი ნაწილის მიწოდება;

11.2 მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.3 შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. დავა და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა ან უთანხმოება შესაძლებელია, გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. ასეთი მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 201--- წლის ----- ჩათვლით.

14. დასკვნითი დებულებანი

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან და ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან.

14.3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაში შედის მხოლოდ მისი წერილობით გაფორმებისა და მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

მიმწოდებელი

დამატებითი ინფორმაცია

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ”გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” №9 ბრძანების შესაბამისად. ინსტრუქტაჟი შესაძლებელი ასევე იხილოთ <http://procurement.gov.ge/>

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა და დამატებითი ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი არის სატენდერო კომისიის აპარატის წევრი ნოდარი ლეკიშვილი, საკონტაქტო ინფორმაცია: +995 -50 53 25 ელ.ფოსტა: n.lekishvili@nea.gov.ge

სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის საშუალებები და პროცედურა: ტენდერისთვის „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებიდან ამავე პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 24 საათისა, ნებისმიერ მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოითხოვოს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება.

ტექნიკური დავალება

სააგენტოს 2016 წლის ფინანსური აღრიცხვა/ანგარიშგების შემოწმება (დაახლოებით 15000 ფინანსური ოპერაცია), ანგარიშგების მდგომარეობის აუდიტი, ბუღალტრული ანგარიშგების შესაბამისობა ინსტრუქციებით განსაზღვრული მეთოდოლოგიის და ანგარიშთა გეგმის მიხედვით, მათ შორის:

- ❖ ფულადი საშუალებების მოძრაობასთან დაკავშირებული ბუღალტრული ოპერაციები;
- ❖ ძირითად საშუალებებთან და სასაქონლო-მატერიალური მარაგებთან (აქტივების აღრიცხვის, მიღებისა და გასვლის ანალიზი) დაკავშირებული ბუღალტრული ოპერაციები;
- ❖ შრომის ანაზღაურების დარიცხვა-გაცემის (საშვებულებო, ბიულეტენის თანხების, შეღავათების გავრცელების გამომანგარიშების) ბუღალტრული ოპერაციები;
- ❖ პირველადი ბუღალტრული დოკუმენტების დამუშავების, მათ საფუძველზე განხორციელებული ბუღალტრული ჩანაწერების შესაბამისობასთან დაკავშირებული ოპერაციები;
- ❖ გადასახადებისა და მოსაკრებლების დარიცხვის სისწორისა და დროულად გადახდის, გადასახადების აღრიცხვისა და დეკლარირების სისწორის დადგენასთან დაკავშირებული ოპერაციები;
- ❖ მოთხოვნებისა და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის მდგომარეობა, დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებათა წარმოქმნის საფუძვლიანობასთან დაკავშირებული ოპერაციები;
- ❖ დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტთან საკასო ხარჯების შესაბამისობისა და კანონიერების შემოწმებასთან დაკავშირებული ოპერაციები;

აუცილებელი პირობა:

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო მიწოდების ვადად განისაზღვროს პერიოდი - ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღე.

პრეტენდენტის ხელმოწერა -----

ბ.ა /ხელმომწერის სახელი, გვარი/

რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

პრეტენდენტის ხელმოწერა -----

ბ.ა

/ხელმომწერის სახელი, გვარი/

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება -----

N	გასაწევი მომსახურების აღწერილობა	მომსახურების გაწევის ვადები	მომსახურების ღირებულება დღ-ს გარეშე
1			

პრეტენდენტის ხელმოწერა -----

ბ.ა

/ხელმოწერის სახელი, გვარი/